14-ს დეკემბერს წელიწადი პირველი. 1883 წელსა.

მწყემსი

№ 3.

გაზეთის ფასი: ერთი წლის გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა—სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Шорапанъ. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღებიან აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დართვება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი. და თუ ავტორებთა თავის გინაობის გამოცხადება არა სურსთ რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილნი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმამავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: რა ზომა უნდა იხმაროს სამღვდელოებამ სასულიერო სასწავლებლებში კეთილად ეკონომიური გამგეობის წასაყვანისათვის.—მეცხრამეტე იმერეთის სამღვდელოების შეკრებილებს.—ორიოდე სიტყვა ჩვენი ოთხ კლასიან სასულ. სასწ. შესახებ.—წერილი რედაქტორთან.—სად არიან ქუთაისის ძველი დამგვრეული სობოროს სამკაულები.—სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.—ჟურნალ გაზეთებთა მიმოხილვა.—სიტყვა არხიეპ. პავლესი.—ლექსები.—განცხადებანი.

II. განყოფილება.

რა ზომა უნდა იხმაროს სამღვდელოებამ სასულიერო სასწავლებლებში კეთილად ეკონომიური გამგეობის წაქვანისათვის?

როცა პირველად სასულიერო სასწავლებელთა წესდება გამოიცა ყველანი დარწმუნებით ამბობდნენ, რომ ამიერიდგან სასწავლებლებში ბოროტად ფულის დახარჯვის მოხდენა არარავის შეუძლიაო. მართლა, პირველ შემთხვევაში ამის წინაალმდეგის მოფიქრება ძნელიც იყო. ერთი კაცის მაგიერ სასწავლებლის გამგებლეაად ხუთი კაცი ინიშნებოდა: სასწავლებლის ზედამხედველი, მისი თანა-შემწე, ერთი წევრი მასწავლებლების მხრით ინიშნებოდა და ორიც სამღვდელოთა მხრით. ყოველ ხარჯზე უნდა მომხდარიყო მსჯელობა ყველა წევრთაგან და შემდგარიყო ჟურნალი; ჟურნალი უნდა დამტკიცებულიყო ეპისკოპოზისაგან და ამდენი მიწერ მოწერის შემდეგ უნდა მომხდარიყო ხარჯი. აბა რას გამორჩება კაცი აქ? ამბობდნენ ყველანი.

მაგრამ, სამწუხაროდ, გამოცდილებამ სულ სხვა დაგვანახვა თვალით. სახაზინო და საზოგადოების ფულების ცუდათ ხარჯვას ვერაფერმა ვერ უშველა: ვერც მშვენიერად დაწერილმა წესდებამ, ვერც წევრების, გამგებელთა რიცხვის სიმრავლემ და ვერც ადგილობითი მღვდელ-მთავრების გამჭრიახე და ფიცხელმა ყურადღებამ.

სიცოცხლეში ზოგიერთი სასწავლებლის ზედამხედველების გამტყუნება არ მოხერხდა; ყველა საჩივარზე ისინი მართალნი დარჩნენ რევიზორთა და სასულიერო მთავრობის წინაშე, მაგრამ ყველა მათი მოხერხებულიმოქმედება და სიცრუით თავის გამართლება აშკარად დამტკიცდა მათი სიკვდილის შემდეგ, მაგრამ სამღვდელოებას ცუდათ დახარჯული ფულები ზოგიერთს ადგილას მაინც ველარ ამოუგია...

სვინიდისის გასაწმენდელად არის შემოღებული ხარჯის ანგარიშის შედგენა წლის გასულს. თუ ეს ანგარიშები კარგად არიან შედგენილნი, თუ სარევიზიო კომიტეტს ციფრებში არაფერი შეცდომა მოუნახავს, ანგარიშები მტკიცდებიან და ყველა

ყაბულობას აცხადებს ანგარიშის დამტკიცებაზე; თითქმის ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ საქმე წესიერად მიდიოდა და ცუდათ ფულები არ დახარჯულა. ამისთანა შედგენილი ანგარიშებით სკოპინის ბანკმა შეიყვანა შეცდომაში მართებლობა და დაჭლუპა არა ერთი ასი პირი, რომელთაც ამ ბანკში ფულები ჰქონდა სასარგებლოდ შეტანილი. ამისთანა ცუდი საქმე სამწუხაროდ არა მარტო სკოპინში მომხდარა, არამედ სხვა მრავალ ადგილებშიაც.

სასწავლებლის წესდების შედგენის შემდეგ გამოიგონეს სარევიზიო კომიტეტის დანიშვნა ყოველგვარი ანგარიშების განსახილველად. ამ კომიტეტს შეადგენენ სამი სამღვდელო პირნი, რომელთაც ირჩევს ეპისკოპოსი. სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს არც არაფერი ამ სარევიზიო კომიტეტთაგან გამოვიდა ამისთვის, რომ ამ სარევიზიო კომიტეტს შეუძლია ანგარიში განიხილოს ძარტო ქაღალდზე დაწერილი და სხვა არაფერი...

უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ დაინახა საჭიროდ, რომ თვითონ სამღვდელოებამ აღირჩიოს თვის შორის რამდენიმე კეთილ საიმედო სამღვდელო პირნი ნიადაგი სარევიზიო კომიტეტის შესადგენელად. ამ კომიტეტს დიდი უფლება ენიჭება; ამათ შეუძლია მოულოდნელ დროს მოახდინონ გაჩხრეკა სასწავლებლის შესავალ-გასავლისა და შეამოწმონ ეკონომიური გამგეობა და ნაყიდი ნივთებიც.

თუმცა უსინიდისო კაცი კიდევ მოახერხებს შემოუაროს კანონებს და თავის პირად სასარგებლოდ აასრულოს, მაგრამ უნდა ვსთქვათ მართალი, რომ ეს უკანასკნელი ღონის ძიება ძლიერ კარგია და თუ სულ არ მოსპობს, ძლიერ შეამცირებს ცუდათ სამღვდელოების ფულის ხარჯვას სასწავლებლებში.

სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს სამღვდელოებას არ მიანიჭეს ეს უფლება. აქ ისევ ძველ წესზედ დგას საქმე,—იმ წესზედ რომელი წესიც რუსეთში არ გამოდგა. ჩვენის აზრით, თუ რუსეთში დაინახეს საჭიროდ ნიადაგი სარევიზიო კომიტეტების დანიშვნა სამღვდელოთაგან, რომელთაც თვალ-ყური უნდა აედევნონ სასწავლებლის ეკონომიურ გამგეობას, ჩვენში, რასაკვირველია, უსაჭიროესია ამისთანა კომიტეტების დანიშვნა. სრული იმედი გვაქვს, რომ მისი მაღალ ქოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი არხიეპისკოპოსი პავლე არ გამორიცხავს საქართველო სამღვდელოებას რუსეთის სამღვდელოებისაგან და მოითხოვს, რომ ეს უფლება საქართველოს სამღვდელოებასაც მიენიჭოს, რომ მათაც ჰყავდეს დანიშნული თავისი დანდობილი პირები, ნიადაგ თვალ-ყურის მდევნელი სასწავლებლებში ეკონომიური გამგეობისა.

მეცხრამეტე იმერეთის სამღვდელოების შეკრებილება.

1, 2 და 3 წასრული თვის რიცხვებში იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა შეკრებილება ჰქონდათ ქ. ქუთაისში. ეს კრება მეცხრამეტეა. ამ შეკრებილებაზე სამღვდელოების დეპუტატებს საყურადღებო საგნებზე ჰქონდათ მსჯელობა. პირველ დღეს ოცდაცამეტი დეპუტატი გამოცხადდა სასწავლებლის ერთ ზალაში, რომელიც დანიშნული იყო დეპუტატებისათვის სხდომების გასახსნელად. რადგან კანონიერი რიცხვი მეკრებილების შესადგენად პირველსავე დღეს შეადგა, ყველამ ერთ-ხმათ ისურვეს თავს-მჯდომარის აღრჩევა და საქმის მედგომა. მყოფმა სამღვდელოების თავს-მჯდომარემ ბლ. მღ. დ. ღამბაშიძემ თანახმად სასწავლებლის წესდების (§ 23) მისცა წინადადება დეპუტატებს თავს-მჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატების და საქმის მწარმოებლის აღრჩევის კანდიდატებათ აღირჩიეს: თვითონ ბლ. მღ. დ. ღამბაშიძე, ბლ. მღ. ერმალოზ ფეფხვაძე და მღ. ა. ტყემალაძე. ბლაღოჩინმა მღ. დ. ღამბაშიძემ უარი განაცხადა კენჭის ყრაზე და ბევრი სთხოვა შეკრებილებას განეთავისუფლებიათ ის თავს-მჯდომარეობაზე კენჭის ყრისაგან, მაგრამ მერე ნამეტანი სამღვდელოების დეპუტატების თხოვნას პატივი სცა და დაინიშნა კანდიდატათ. ყველა დეპუტატებმა ერთ ხმათ სთხოვეს მას, რომ უკენჭოთ ყოფილიყო აღრჩეული, მაგრამ ღამბაშიძე არ დათანახმდა და მოხდა კენჭის ყრა. ბარდა ორის კენჭისა ყველა თეთრი კენჭი აღმოუჩნდა. ორმა დანარჩენმა კანდიდატებმა კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს. ეს დრო იყო საღამო და შინაურულად მოლაპარაკების მეტი ამ დღეს არაფერი ყოფილა.

მეორე დღეს თითქმის ყველა დეპუტატები მოვიდნენ, რომელთა რიცხვი ადის ორმოცდა შვიდამდის.

პირველი საგანი, რომელზედაც სამღვდელოების შეკრებილებას ჰქონდა მსჯელობა, იყო 333,000 მ. გადაცემა უწმიდესი სინოდის გამგეობაში, რომელი ფულების შეწირვა იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებამ წინა შეკრებილებაზე გადაწყვიტა ქუთაისში სემინარიის დასაფუძნებლად. მრავალი იფიქრეს დეპუტატებმა ამ საგანზე და ბოლოს თანახმა გახდნენ წმიდა სინოდის წინადადებაზე იმ პირობით, რომ

დაპირებისამებრ წმიდა სინოდმა ორასი ათასი (200,000) მანეთი უნდა დაახარჯოს სემინარიის სახლის ასაშენებლად და მოსაწყობლად და ზემოხსენებულის ფულის სარგებელი, შემადგენელი თექვსმეტი ათასი (16,000) მანეთისა, ყოველ წელს უნდა ჰგზავნოს სემინარიის შესანახავად. სამეგრელოს სამღვდელოებამ წინეთ ამისა გამოაცხადა ამისთანავე აზრი ფულების გადაცემაზე სინოდის უწყებაში.

მეორე საგანი, რომელზედაც სამღვდელოების დეპუტატებს ჰქონდათ მსჯელობა, იყო წარსული წლის სასწავლებლის ანგარიშის განხილვა, იმ ანგარიშისა, რომელიც გაზეთს „მწყემსის" მეორე ნომერში იყო დაბეჭდილი. ეს ანგარიში სამღვდელოებამ არ დაამტკიცა განუხილველად და, რადგან ეს განხილვა ასე უცეფ არ მოხერხდებოდა, ამიტომ კრებამ ამ ანგარიძის განსახილველად აღირჩია კომმისსია სამი პირისაგან. ამ კომმისიას შეადგენს: ბლ. მღ. იოსებ წერეთელი, ბლ. ერ. ვეფხვაძე და სასწავლებლის მასწავლებელი ე. ღამბაშიძე. რომელზედაც ყოვლად სამღვდელოც თანახმა გახდა.

მესამე საგანი შეკრებილების გასარჩევი იყო სასწავლებლის 1884 წლის ხარჯის (смѣта) განხილვა და დამტკიცება. ხარჯი, სასწავლებლის სამართველოსაგან შედგენილი, სამღვდელოების შეკრებილებამ მიიღო, მხოლოდ ზოგიერთ ხარჯთა მოაკლო 500 მანეთამდე. სამღვდელოებისაგან განხილული და დამტკიცებული სასწავლებლის ხარჯი დამტკიცებულ იქმნა ყოვლად სამღვდელოსაგანაც. სხვათა შორის, სმეტით სასწავლებლის ეკონომზე იყო დანიშნული 360 მ. ჯამაგირი; ამასთან განაცხადა სასწავლებლის ზედამხედველმა, რომ ეკონომს შეშა და საჭმელიც უნდა ექმნესო. სასწავლებლის სამართველო სამღვდელოების შეკრებილებისაგან მარტო ჯამაგირის დანიშვნას ითხოვდა. სამღვდელოების შეკრებილება კი თხოულობდა, რომ მათ მიცემოდა უფლება ეკონომის აღრჩევისა, მაგრამ ამაზედ სასწავლებლის გამგეობა არ დაეთანხმა. ამისათვის ეკონომი არ დანიშნეს, მხოლოდ ვალდებულად გახადეს ყველა სამართველოის წევრნი თვალ-ყური ადევნონ ეკონომიურ ანგარიშს და ერთ პირს ნუ მიანდობენ ეკონომიურ გამგეობას.

ძველ სამართველოს წევრებს სამღვდელოების მხრით ვადა გასული ჰქონდათ. ამისათვის სამღვდელოების შეკრებილებამ აირჩია ოთხი კანდიდატი სამართველოში წევრობის თანამდებობაზე: ბლ. მღ. ტქ. ძაჭახიძე, ბლ. მღ. მ. მჭედლიძე ბლ. მღ. ე. ვეფხვაძე და ბლ. მღ. ი. ციკაჩეიშვილი. მოხდა დაფარული კენჭის ყრა ამათზე. ორი მათგანი სახელდობრ: მჭედლიძე და ძაჭახიძე კრებისაგან იქმნენ აღრჩეულნი წევრებად და დანარჩენნი ორნი მათ კანდიდატებათ. ყოვლად სამღვდელოსაგან წევრებათ დაინიშნენ ბლ. მღ. ტქ. ძაჭახიძე და ვეფხვაძე. მჭედლიძე და ციკაჩეიშვილი მათ კანდიდატებათ.

მეოთხე შეკრებილების საბაასო საგანი იყო სანთლის ვაჭრობის წარმოების საქმე. აშკარად გამოჩნდა, რომ სანთლის ვაჭრობის საქმე იმერეთში ძლიერ ცუდათ მიდიოდა და მიდის. დღეს სანთლის დუქნის გამგებლად არის დანიშნული სასწავლებლის ზედამხედველი ი. ფხაკაძე. სამღვდელოების შეკრებილებას ბევრი ლაპარაკი და ბაასი ჰქონდა ამ საგანზე. საჭიროდ და კანონიერად დაინახეს დეპუტატთა, რომ სანთლის გამგეობისაგან დაეთხოვათ სასწავლებლის ზედამხედველი, რომელსაც კანონი უკრძალავს სხვა რომელიმე თანამდებობის მიღებას და არც შეუძლია ამ თანამდებობის რიგიანად ასრულება, თუ თავის პირად მოვალეობას რიგიანად აღასრულებს; მერმე, განსაკუთრებით, იმისთანა სასწავლებლის ზედამხედველი, როგორიც არის ჭუთაისის სასულიერო სასწავლებელი და რომელშიდაც თოთხმეტი კლასი, განყოფილება ითვლება. სამღვდელოების შეკრებილებამ გადასწყვიტა კომიტეტის დანიშვნა ხუთ სამღვდელო და საერო პირთაგან, რომელთაც საშრომელად დაუნიშნა წმინდა მოგებისაგან 10%; მაგრამ ეს ჟურნალი შეკრებილებისა არ დამტკიცდა და სამთლის დუქნის გამგედ ისევე სასწავლებლის ზედამხედველი ბ. იაკ. ფხაკაძე დარჩა. რეზოლიუცია ყოვლად სამღვდელოსი კრების ჟურნალზე არის შემდეგი: „ეს კრების გარდაწყვეტილება მე არ დავამტკიცე მისთვის რომელ, პირველად ერთხელაც იყო ამისთანა კომიტეტი დანიშნული, მაგრამ არაფერი სარგებლობა არ მოიტანა და ახლაც სარგებლობა არა იქნება რა, გარდა უსარგებლო ხარჯისა. მე მივანდევ მართვა სანთლის დუქნისა დროებით, ერთი წლის ვადით, სასწავლებლის ზედამხედველს უ. იაკ. ფხაკაძეს შესატყობლად, თუ რაოდენი შემოსავალი აქვს დუქანს ნამდვილად, რომლის შეტყობა წლის გასვლამდის შეუძლებელია, ვინაიდგან, როგორცა ყველამ იცის, სანთლის გაყიდვა ღერობითაც და წონითაც უფრო ბევრია ზამთრობით, დიდს მარხვაში და აღდგომის დღესასწაულებზედ და მომავალ კრებას მიეცემა ამაზედ სხვა შესაფერი წინადადება და, მეორედ, სანთლის დუქნის წმინდა შემოსავალი არის საზოგადო იმერეთის საეკკლესიო ხაზინის საკუთრება, შედის მისს საზოგადო შემოსავალში, იჩენება ყოველ წლივ სმეტაში და იხარჯება სასწავლებლის და სხვა საეპარხიო დაწესებულებათა და მოსამსახურე პირთა

შესანახავად და ამისთვის სრულად არც ეკუთვნის ჯერეთ, სანამდისაც სანთლის საქმე ეპარხიის მთავრობის ხელშია, სამღვდელოების კრებას რაიმე კანტროლის ქონება სანთლის დუქანზე; სამღვდელოება უნდა ზრუნვიდეს ჯერ-ჯერობით მასზედ, რომ სანთელი ეკკლესიებისათვის მიჰქონდეთ მხოლოდ საეკკლესიო დუქნიდგან და არა სხვა ადგილებიდგან, რომ სხვა პირები მალულად არ ჰყიდდენ სანთელს მათს სამრევლოში, როგორც არის ამის შესახებ მიცემული დარიგებანი, რომ თან-და-თან გავრცელდეს სანთლის ყიდვა ეკკლესიებში და გადიდდეს შესავალი, რომლისაგანაც დიდი შეღავათი ეძლევათ მათ და შემდეგშიაც მიეცემათ სასწავლებლის სასარგებლოდ შესატანი ფულების გასტუმრებაში და ღარიბ ეკკლესიებსაც ქონებას შესძენს".

ქოვლად სამღვდელო მართალს ბრძანებს, რომ კომიტეტი იყო დანიშნული, რომელსაც არაფერი გაურიგებიარა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს კომიტეტი სამღვდელოებისაგან არ იყო დადგენილი და მიტომაც, ვგონებ არა გამოვიდა რა მათგან. წელიწადიც გავა და ვნახოთ? ოცი მანეთი რომ მაიმატოს არც მაშინ შეიძლება კაცმა სთქვას სანთლის ვაჭრობა კარგად მიდიოდა...

მეხუთე საგანი იყო ორი მასწავლებლის: ბ. ბენაევის და ილ. მატარაძის თხოვნის განხილვა კრებისაგან. ეს პირები სთხოვდნენ კრებას იმ მესამედი ჯამაგირის ფულების მიცემას მათდამი, რომელიც მათ ჯილდოდ დაუნიშნეს წინა კრებაშიდ, და რომელიც მათ ჯერეც არ მიუღიათ. სამღვდელოებამ ერთ ხმათ გადასწყვიტეს: ეთხოვოს მისს ქოვლად უაამღვდელოესობას, რომ ამ ორი მასწავლებლების თხოვნა იქმნეს დაკმაყოფილებული. ეპისკოპოსის რეზოლიუცია ამ ჟურნალზე: „მაუკლებელ მოვალეობად უდგენ სასწავლებლის სამართველოს დაუყონებლივ აღასრულოს წარსული წლის კრების გარდაწყვეტილება ამ საგანზე.

დიდი ბაასი ჰქონდა შეკრებილებას იმ ფულების ანგარიშის შეტყობაზე, რომელიც შემოდის საერო წოდების შვილებთაგან სწავლის უფლებისათვის. წარსული წლის შედგენილი სასწავლებლის ანგარიშიდგან აღმოჩნდა შემოსულად 1876-დამ 1881 წლამდე ცხრა ათას ოთხას ოცდა თორმეტი მანეთი (9,432). მაგრამ სამღვდელოების შეკრებილება მარტო ამ ცნობით არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა სამართველოსაგან სია საერო წოდების პირთა ყველა წლების. აღმოჩნდა, რომ სია არც ერთი წლის არ ყოფილა შედგენილი. ძლივს შეადგინეს ამ წლის სია, რომლისაგან აღმოჩნდა ას ოცი საერო წოდების მოსწავლენი. ამ სახით შეუტყობელი დარჩა: რამდენი შეიკრიბა ნამდვილად და რამდენი აუღებელი და ცუდათ დახარჯული არის. ბასაკვირველი არის, რომ ამის თაობაზე ყოველ კრების დროს არის ლაპარაკი და ყოველთვის ცუდათ რჩება ეს ანგარიში; სამღვდელოება ითხოვდა, და მათი თხოვნა კანონიერიც არის, რომ გაზეთის საშუალებით იქმნეს გამოცხადებული სია საერო წოდების შაგირდებთა; იმედი გვაქვს, რომ ეს თხოვნა იქმნება დაკმაყოფილებული.

ამათ გარდა სამღვდელოების შეკრებილებას სხვა საგნებზედაც ჰქონდათ მსჯელობა, მაგრამ ეს საგნები მაგდენად საინტერესონი არ არიან და გაზეთის სივრცეც აღარ მომცემს, ვგონებ, ნებას ნამეტნავად გავაგრძელო ეს წერილი.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ეს შეკრებილება ძლიერ განირჩეოდა წინანდელ შეკრებილებათაგან. დეპუტატებში რაღაცა ნამეტნავად ჩნდა სიცოცხლე; საზოგადოდ მსჯელობა გაცხოველებულად მიდიოდა. ბევრ დეპუტატებზე ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლებლის ზედამხედველმა მით, რომ, თითქმის, განუშორებლივ იმყოფებოდა სხდომებზე; თავს-მჯდომარის გვერდზე იჯდა და ორჯეროდე თვითონ წამოაველო თავს-მჯდომარის ზარას ხელი და აჩუმებდა დეპუტატებს, რომ მისი სიტყვა მოესმინათ. არ შეიძლება, რომ სამღვდელოება ცოტა შეეიწროებული არ ყოფილიყოს ზოგიერთ მსჯელობაში სასწავლებლის შესახებ ზედამხედველის შეკრებილებაში ნიადაგ მყოფობით. და, იმედია, არც ზედამხედველი იზამს ამას მეორეზე და არც თავს-მჯდომარე მისცემს ნებას სხდომაზე დასწრებისას იმისთანა პირებს, რომელნიც შემაეიწროებელნი და მოსარიდალნი არიან დეპუტატთათვის.

ამ შეკრებილების დროს ბრძანდებოდა ქუთაისში საქართველოს ექსარხოსი არხიეპისკოპოსი პავლე, რომლის წირვაზე დაესწრენ ყველა დეპუტატები და მოისმინეს მისი ქადაგება სობორში.

დეპუტატებს სურდათ, რომ ექსარხოსი შებრძანებულიყო კრებაში, მაგრამ თავს-მჯდომარეს გადასცა მან შემდეგი სიტყვები: „მე არც ერთ სამღვდელოების შეკრებილებაზე არსად არ დაესწრებივარ, რომ ჩემი შეკრებილებაზე დასწრებით სამღვდელოების უფლება არ შეეიწროვო. სამღვდელოების შეკრებილება ისეთი დაწესებულება არის, რომ ყველაფერი მათი მსჯელობა თავისუფლად უნდა მიდიოდეს და ამისათვის არ შემიძლია შემოსვლა კრებაში, თუმცა დიდი მსურველი ვარ ყველა სამღვდელო პირი გავიცნო და დარიგება მივსცე".

ოარიოოდე სიტყვა ჩვენი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების შესახებ.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია ადგილობითი გაზეთებისათვის, ის, იმედია, წაიკითხავდა მათში საყვედურს და სამდურავს სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლებზე. ბაზეთებში ხშირად სწერდნენ: „ამა და ამ სასულიერო სასწავლებლის პედაგოგიური კრება ცუდათ მოიქცა, რომ ესე და ეს შაგირდები უბრალო საქმისთვის სასწავლებლიდამ დაითხოვა“. ვინაც იცის სასულიერო სასწავლებლის წესდება და ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ წესდების ძალით პედაგოგიურ კრებას მინიჭებული, არ დაემდურება სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს და თავის გულში იტყვის: „შაგირდების მიღება და გამორიცხვა სასწავლებლის წესდებით სამართველოს საქმეა და არა პედაგოგიური კრებისა, რომელსაც წესდების ძალით არაფერი უფლება არა აქვს მინიჭებული.

მე, როგორც ერთი სასულიერო სასწავლებლების საქმის ცოტათი მცოდნე პირი, ამასვე ვიტყვი. სასწავლებლის წესდება ნებას არ აძლევს მასწავლებლებს, რომ მათ რამე მსჯელობა იქონიონ შაგირდების მიღებაზე და ან სასწავლებლიდამ მათ გამორიცხვაზე. მასწავლებლებს ამის თაობაზე არაფერს ჰკითხავენ ზოგიერთა სასწავლებლის უმფროსები— ზედამხედველები. თუ როდისმე რამე უკითხავთ, ისიც გამოცდით, თორემ საქმეს ისე წაიყვანენ სამართველოში, როგორც მათ სურსთ და არა, როგორც პედაგოგიურს კრებას. ზოგიერთა ზედამხედველები მხოლოდ მაშინ ეკითხებიან პედაგოგიურს კრებას რომელიმე შაგირდების გამოგდებაზე, როცა მათ ამ გამოგდებული შაგირდების ხათრი აქვსთ. ამ შემთხვევაში ზედამხედველს უნდა თავის-თავი მართლად გამოიყვანოს და გამორიცხულებს აჩვენოს: მე კი არ გამოგაგდე, მასწავლებელთა გადასწყვიტეს თქვენი სასწავლებლიდამ გამოგდებაო; როცა ესევე ზედამხედველი სამართველოში გაცხარებით ლაპარაკობს ამავე შაგირდების გამორიცხვაზე და კიდეც აგდებს მათ სასწავლებლიდამ; მაგრამ გამორიცხულ შაგირდებს პედაგოგიურს კრებაზე უთითებს. ამის მაგალითი ხშირია.

თუმც, მართალია, ყოველ თვის დამლევს ზედამხედველი მასწავლებლებს ხელს აწერიებს უწყებაზე, რომლითაც მათ პედაგოგიურს კრებაზე იწვევს, მაგრამ აი რაში მდგომარეობს ეს პედაგოგიური კრება: დანიშნულს დროს ყველა მასწავლებლები ერთ რომელიმე სასწავლებლის ოთახში იკრიბებიან, სადაც, ცოტა ხნის შემდეგ, შემოდის ზედამხედველი, მას ხელში უკავია ქაღალდები და ზარა. შამოსვლისათანავე გრძელი სტოლის თავში ჯდება და, ცოტა სიჩუმის შემდეგ, ამბობს: „კრება გახსნილათ ითვლება“. მერე იღებს ხელში ერთი კლასის შაგირდების სიას (Вѣдомость), ჩაიხედავს შიგ და, ცოტა მოფიქრების შემდეგ, ამბობს: „სასიხარულოდ ჩემდა, ამ თვეში უფრო ცოტა შაგირდებს მიუღია ცუდი ბალლი სწავლაში, ვინემ წინა თვეში“. მერე მეორე კლასის სიას იღებს ხელში და ასე ათავებს ყველა სიების კითხვას. ამ კრების დროს მასწავლებლები თავის მოსაზრებას გამოსთქვამენ ხოლმე, მაგრამ მათი მოსაზრება არც იწერება და არც სისრულეში მოდის. რადგან კრების გარდაწყვეტილება და მოსაზრება არ იწერება, ამიტომაც მუდამ ერთსა და იმავე საგანზე არის ხოლმე კრებაში მსჯელობა.

სასულიერო სასწავლებლების მმართველი, სული და გული არის სასწავლებლის სამართველო. ამ სამართველოს შეადგენენ შემდეგი წევრნი: ზედამხედველი, იგივე სამართველოს თავს-მჯდომარე, მისი თანა შემწე, ორი მღვდელი, სამღვდელოების მხრით აღმოჩრეული და ერთი წევრი მასწავლებლების მხრით. ეს უკანასკნელი პირი არის, სხვათა შორის, დამცველი სამართველოში მასწავლებლების ინტერესისა; მაგრამ მას მასწავლებლები კი არ ირჩევენ, არამედ სამართველო და ამიტომაც არის, რომ ხშირად მასწავლებლების მხრით წევრად ირჩევენ იმ პირს კი არა, რომელიც მასწავლებლებს სურთ, არამედ იმას, რომელიც ზედამხედველს მოსწონს და იცის, რომ ის პირი სამართველოში მის წინააღმდეგს არას იზამს და ყოლიფერში მისი თანახმა იქნება, რომ მას კიდეც არ მოსწონდეს და უსამართლოდ მიაჩნდეს ზედამხედველის მოქმედება. ამასთანავე სამღვდელოებაც თავის წარმომადგენელად სამართველოში ხშირად ისეთ პირებს ირჩევს, რომელთაც სრულებით არა გაეგებათ რა საქმისა და თავის მოვალეობისა. ეს მიტომ, რომ სასწავლებლის წევრი სამღვდელოების მხრით უნდა იყოს სასწავლებლის ახლოს მცხოვრები და ამ სასწავლებლის ახლოს მცხოვრებ მღვდლებში ძნელად ნახავთ ისეთ პირებს, რომელთაც გული შესტკივოდესთ საზოგადო საქმეზე და უჯამაგიროდ ემსახურონ საქმეს.

ზედამხედველის თანა-შემწეს არ შეუძლია, გამბედავიც რომ იყოს, რამე გაუბედოს სამართველოში ზედამხედველს, რადგან ამ უკანასკნელს შეუძლია მისი დასმენა სადაც და ვისთანაც ჯერ არს და მისი ადგილიდამ დათხოვა. ამიტომაც გაბედვით შეიძლე-

ბა სთქვას კაცმა, რომ სამართველოს შეადგენს ხუთი კაცი კი არა, არამედ ერთად-ერთი ზედამხედველი, იგივე თავს-მჯდომარე, რომელსაც ხშირად საქმე ისე მიჰყავს სამართველოში, როგორც მას სურს და არა ისე, როგორც მოითხოვს სასწავლებლის სიკეთე.

ამასთანავე ერთი საგანი არის, რომელსაც, როგორც ადგილობითი მღვდელ-მთავრები, ისე სამღვდელოების შეკრებილებანი ყურადღებას უნდა აქცევდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის ამ საქმეზე ყურადღება არ არის მიქცეული ვისგანაც ჯერ არის.

სასულიერო სასწავლებლების ზედამხედვლებს და მათ თანაშემწეთა სასწავლებლის წესდებით გარდაწყვეტილი ჯამაგირი აქვსთ დანიშნული წელიწადში: პირველს 1200 მ. და მეორეს 900 მ. ამასთან მათ აქვსთ მუქთი ბინა, შეშა, სამთელი და ზოგიერთ ადგილას, თუმცა სასწავლებლის წესდებით არა აქვსთ უფლება, მაგრამ ეს პირები სარგებლობენ მოსამსახურით და საჭმელითაც. სასწავლებლის წესდებით ზედამხედველი და მისი თანაშემწე ვალდებულნი არიან, აძლიონ ექვს-ექვსი გაკვეთილი კვირაში. სხვა გაკვეთილების მიცემისაგან თავისუფალნი არიან, რადგან მათ სხვა სასწავლებლის საქმესაც ყური უნდა უგდონ. მაგრამ ზოგი სასწავლებლების ზედამხედვლები იმდენს ეცდებიან, რომ ამ ექვსი გაკვეთილის მიცემისაგანაც თავი გაითავისუფლონ. ამიტომ მოყვებიან: „აქაო და ჩვენ სხვა საქმეც ბევრი გვაქვს სასწავლებლისაო; შაგირდების რიცხვი ბევრია, და მათ ყური უნდა უგდოთო, მათ ბინებზე კვირეში ერთხელ მაინც უნდა ჩამოვიარეთ და ეკონომიური ნაწილიც ჩვენი საწყვეტიაო“. ამისთანა და სხვა ამ ფერი მოხერხებით ამ ექვსი გაკვეთილისაგანაც, რომელსაც ისინი უფასოდ უნდა აძლევდნენ, თავს ითავისუფლებენ და ამფრად რჩება თორმეტი გაკვეთილი, რომელზედაც ან ცალკე მასწავლებელი ინიშნება და ან სხვა მასწავლებლებს დაემატება ეს გაკვეთილები შტატის რიცხვის გაკვეთილებზე. როგორც უნდა იყოს, სამღვდელოებას ეხარჯება ამ გაკვეთილებზე 500—600 მანეთამდე. შემდეგ ესევე პირნი ამავე სასწავლებელში გაკვეთილებს აძლევენ და მასზე იღებენ ჯამაგირს. გარდა ამისა, გასაკვირველად ყოველთა, ესევე სასწავლებლების ზედამხედველნი სხვა გარეშე თანამდებობის ასრულებასაც კი კისრულობენ ფულის სიხარბისთვის.

ბიმეორებ, ძლიერ გაკვირვებული ვართ ჩვენ იმ პირთაგან, რომელთაც ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციონ, მაგრამ არაფერს არ ამბობენ და არა თუ არ ამხილებენ ამისთანა ზედამხედველებს, არამედ თვითონ ხელს უწყობენ, რომ მათ კანონი დაარღვიონ და ამით თავის პირ-და-პირ საქმეს ავნონ.

ჩვენი ნათქვამი, რასაკვირველია, ყველა სასწავლებლების ზედამხედველებს და სამართველოებს არ მიეწერება. ბევრნი არიან საქმის მცოდნე ზედამხედველები, რომლებიც სულით და გულით არიან მოწადინებულნი, რომ სასწავლებლის საქმე კარგად წაიყვანონ; მაგრამ მათში ბევრნი არიან ისეთიც, რომელნიც მარტო თავის-თავზე ფიქრობენ და ყოველსავე ხერხს და საშუალებას ხმარობენ, ოღონდ კი თავის ადგილზე დიდხან დარჩნენ.

სამღვდელოების მოკეთე.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ცოტა ოდენ შენიშვნას თქვენ პატივცემულ გაზეთ „მწყემსში“. ამ წლის აპრილის თვეში ხარაგოულის საბლაღოჩინო მაზრის საეკკლესიო მსახურნი: მღვდელნი და მედავითნენი ვიყავით შეკრებილნი ს. ხარაგოულში მოსალაპარაკებლათ შესახებ ჩვენი შვილების სასწავლებელში მოსწავლეთა საზოგადო საბინაო სახლის აშენების თაობაზედ, ქ. სასულიერო სასწავლებლის სიახლოვეს ნაცხვარზე. მოვილაპარაკეთ რა ამ საგანზედ, ყველამ ერთ-ხმათ გადავსწყვიტეთ: ზემო აღნიშნულს ნაცხვრის ადგილზე ავაგოთ სამი თვალი ქვითკირის სახლი, რომელიც უნდა იქმნეს ერთი ეტაჟიანი ძირ და მაღლა მერჩით, სადაც უნდა იცხოვრონ ჩვენმა შვილებმა. ამაზედ კიდევაც დავადგინეთ სიგელი და მე, როგორც თავს მჯდომარემ, წარუდგინე რაპორტით მისს ეოვლად უსამღვდელოესობას, ეოვლად უსამღვდელოესს იმერეთის მპისკოპოზს ზაბრიელს, რომელმაც განგვიცხადა მადლობა. მგონი, კარგი უნდა იყოს, ჩემის აზრით, რომ მოიფიქრონ ამ საგანზედ ზოგიერთმა მაინც საბლაღოჩინო მაზრის მღვდლებმა, რომლებიც როგორც ჩვენ,—არიან ძრიელ დაშორებულნი ზემო ხსენებულ სასწავლებელზე და არა აქვსთ საბინაო სახლი თავისი საკუთრება, იხდიან ცხრა-ათს მან. თვეში, როდესაც ამნაირი საშუალებით შეუძლიათ შეინახონ თავისი შვილები სამ-ოთხ მანეთად. *)

ბ. მღვდელი ვ. ჯეფსკაძე

*) ვბეჭდავთ ამ წერილს თანახმად ავტორის თხოვნისა, მაგრამ არ შეგვიძლია არ გამოვსთქვათ ჩვენი გაკვირვება ზო-

სად არიან ქუთაისის ძველი დამგვრეული სოგოროს სამკაულები?

სიმართლე რომ სთქვას კაცმა, არაფერი არხეოლოგი გახლავარ, რომ მაინცა და მაინც ჩემს ნათქვამს ვინემ რაიმე ფასი დაადვას, რჩევით იხელმძღვანელოს, უჩინო ამოაჩინოს, ნაჩენს გზა უჩვენოს და ჩვენთვის სასარგებლო ჩვენი შთამამავლობის სასიქადულო სამკვიდროებად გახადოს, მაგრამ საქმის დიდი მნიშვნელობა მაინც მოვალეთ მხდის, მკითხველს მოთმინება ვსთხოვო და ერთ წამს მისი ყურადღება ზემოთ ნახსენებ ნამგვრევ ტაძრის ბედსა და იღბალზედ მივაქციო.

სხვა რომ არა იყვეს რა, ამისთანა მოკლე დროშიდაც, რომლის დამმახსოვრე მე ვარ, არა ერთ გზობითი სხვა-და-სხვა მხრის, ნაციის და სჯულის სწავლული მნახველები წვევია მას განსარკვევლად, მაგრამ გარდა გარეგნული მოკლე აღწერულობისა და ახირებული გადმოღებულობის მეტი არა შემოუტანიათ რა მეცნიერობის არე-მარეში. მართალია, ორი-სამი კაცის თაოსნობით ამა ორი წლის წინეთ მუშა იყო დაყენებული ზედ, რომლებმაც ჩამოგვრეული ქვა-კირი გათხარეს, ნაირ-ნაირად ნაჭადრაკები, კედლების და გუმბათების ქვები ამოაჩინეს და დანომვრის შემდეგ შიგ ტაძარში დააწყვეს ეს არხეოლოგიისათვის უძვირფასესი საუნჯე, რომ სახლების საშენ მასალათ მხმარებლების ხელითგან დაეცოთ, მაგრამ ყველა ეს რომ საკმარისი არ არის, ამას ადვილათ მიხვდება ის, ვინაც საქმეს ცოტა უფრო დაუკვირდება. ვინ რა სწერა, ან იკითხა, მაგალ., ამ ტაძრის სამკაულზე? სად არის მაგალ., ის ოქროსა და ვერცხლისაგან გაკეთებული ჭურჭლობა, რომლებიც ასე მშვენიერად ამკობდნენ ერთ დროს საკურთხეველის ყოველ არე-მარესა? სად არის ის ძვირფასი ტანისამოსი, რომლის განმრავლებაში და გაუმჯობესობაში საზღვარი არ ჰქონია ქართველი კაცის რელიგიურ გრძნობასა? სად არის ის ძვირფასი ქვებით შემკული ძვირფასი ხატრობა, რომლებიც მარტო ერთი თავის გარეგნული დიდებით სასოებას უძრავს ქართველს გულში და მისდა დასაცველად თავ-განწირული გადიოდა ბრძოლის ველზე? ნუ თუ ეს ძველი დროის დიდება ისე წარიხოცა ქვეყნის პირიდგან, რომ მის ნაკვალებსაც ვერ იპოვის კაცი! ნუ თუ შავი დროის უკუღმა დატრიალებულმა ორბალმა ისე აუხვია თვალი თანამედროვე ძღვდელმთავრებსა, რომ ეს დაუფასებელი სამკაული თვითონ ჩაუგდეს ხელში მტრებსა! ყველა ეს და ბევრი ამის მსგავსი კითხვები მოდის თავში ცნობის მოყვარეობით აღჭურვილ მნახველებს, როცა ისინი შეძოდიან ამ ნამგრევ ტაძარში და გაოცების გამომხატველ სახით აჰყურებენ თვალ აუწვდენელ კედლების სიმაღლეს, მის ყუმბარებისაგან შეურყეველს სიმაგრეს და გრძნობის გამტაცე ხარატ-ჭადრაკულებას მათზე, მაგრამ ვერც ერთ ამ კითხვებზე, როგორც ამდენს ხანს, ისე ახლაც ვერაფერ პასუხს ვერ პოულობს მკითხველის ცნობის მოყვარეობა. თუმცა ამისთანა შემთხვევაში, როგორც სხვაგან საზოგადოთ, ისე აქაც კერძოთ, ერთად ერთ პასუხის გამცემ და შეღავათის მომცემ საშუალებად ჩნდება ისტორია, მაგრამ თუ მის შესახებ ორიოდე სიტყვა გვინახავს იმისთანა მდიდარ და შესანიშნავ ბიბლიოთეკაში, როგორიც პეტერბურღის საჯარო ბიბლიოთეკაა, ისეც ისე ვაკვრით და ბნეულათ არის გამოხატული, რომ მისგან რაიმე სიმართლის დასკვნა ძნელათ შესაძლებელია კაცისათვის, რაც უნდა ისტორიული გრძნობიერებით იყოს ის ბუნებისაგან დასაჩუქრებული, მაგალ. სწერენ: „ამა და ამ წელს მტერებმა ტაძარი დაამგვრიეს და სამკაული წაიღესო“. ძნელია სათქმელად რომ ისტორიკს ამ შემთხვევაში რაიმე ამის დამამტკიცებელი საბუთი ჰქონდა ხელში, თუ ისტორიკების საზოგადო ლოღიკით არ ისარგებლა. ძნელია სათქმელათ, ვიმეორებ მისთვის, რომ თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ მეორე წყაროს, რომელსაც ამ შემთხვევაში თითქმის ისეთივე ავტორიტეტი აქვს, როგორიც პირველსა, მაშინ ცხადათ დავინახავთ წინაალმდეგ მოწმობას პირველზე. მე მინდა მოგახსენოთ ზეპირ გადმოცემაზე.

ზეპირი გადმოცემა ანუ დაველრება მოგვითხრობს ვითომც ეს ძველი დროის საუნჯე დღეემდის ჩვენ

გიერთ პირების ამისთანა მჩატე მოსაზრებაზე. ნაციხვარის ადგილი ჟერეთ სასულიერო მთავრობას არ მოუპოვებია და როგორ შეიძლება ამ ადგილზე სახლის აშენება? ნუ თუ მარტო ბინის შოვა შეუმოკლებს სამღვდელოებას ხარჯს და თავის შვილების, შენახვაზე ქუთაისში სამ მანეთის მეტს აღარ დაახარჯებს? თუ საკუთარ ბინას ამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორ ვერ დაიქირავეს ერთი სახლი რამდენიმე მღვდლებმა და ვერ დააბინავეს ერთად ათი-თუთხმეტი შაგირდი? უმჯობესია, სახლის აშენებამდის სამღვდელოებამ დაიქირავოს ორი ოთახი და სცადოს ერთად შვილების დაყენება და მაშინ შეიტყობს ყველაფერს. ჩვენ სრულებით წინაალმდეგნი არა ვართ შაგირდების საზოგადო ბინისა, მაგრამ მართლა სამი მანეთი კი არ ეყოფა ხარჯათ თითო შაგირდს, როგორც მამა ვეფხვაძე მოგვითხრობს, არამედ უფრო მეტი, რომელიც სამწუხაროდ ყველა მღვდელს არ აქვს...

რედაქტორი.

ეზო-გარემოში იყოს დამალული, და განსაკუთრებით იმ ალაგს სადაც ჩვენ დღეში ასჯერ გავიელ-გამოვიელით, მაგრამ თუ ამდენს ხანს ამას ვერ მიმხვდარვართ მისთვის, რომ არც არავისთვის გვიკითხავს და არც არაფერი გვინახავს ნაწერებში. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მე ერთხელ შემთხვევით შემეხვდა მუსაიფი სოფელს ჭომას მცხოვრებ ერთ დიდათ პატივ-ცემულ მოხუც კაცთან, რომელიც, ვგონებ, დღესაც ცოცხალი არის. აქ არც ადგილი მაძლევს ნებას და არც დრო, რომ ყველაფერი დაწვრილებით დავხატო; რადგანაც სტატია უამისოთაც გრძელი გამოდის, და მეორეს მხრით პატივ-ცემული მკითხველი არ მოვაწყინო, მოვიყვან დაახლოვებით მხოლოდ იმ მოხუცის სიტყვებს ჩვენი საგნის შესახებ, წარმოთქმულებს: „შენ, შვილო, მომავალი ხარ და ჩვენ მიმავალი ვართ“, დაიწყო მან, „თუ ღმერთი სულს გათხოვებს ამას დაიმახსოვრებ და, ვინ იცის, იქნება ერთ დროს საქმეში გამოიყენო; ჩემი მამა-პაპისაგან ასე მაქვს დაფარულათ განაგონი: სამხრეთ-აღმოსავლეთის, ჭუთაისს შემოსევის დროს, როცა ტაძრის დამგვრევა აუცილებელ მოვლინებათ ეცნოთ მაშინდელ მღვდელმთავრობას, გამოეტანათ ჩუმათ, რომ არავის გაეგო ისე ეკლესიის სამკაული, თუ რამე ძვირფასი ყოფილიყო, და საკურთხეველის პირ-და-პირ აღმოსავლეთით, იმ ალაგას, სადაც ახლა ციხე არის გადმოგრეული ამოეთხარათ ღრმათ მიწა და იქ ჩაემარხათ“. ჩემს კითხვაზე: თუ იმან ეს იცოდა, ამდენს ხანს რათ არ გამოაშკარა საზოგადოთ, იმას ამისთვის ჯილდოსაც მისცემდნენ? მომიგო: „ეჰ, შვილო, ახლა გლახა დროებაში ჩავარდით, ძმამ ძმის სიყვარული დაჰკარგა და შვილმა მამის; მოგატყუებენ, გათქმევინებენ და მერმე მადლობის მაგივრათ: ვინ იცის, რას გიზმონან!..“

სრული ნება აქვს მკითხველს, როგორც მას სურს ისე გაგვიგოს მე და ჩემი პატივ-ცემული მოხუცი; მას შეუძლია ძველი დროის ბერძნებივით მოხუცი მეორეჯელ გაბავშვებულათ ჩათვალოს და ჩვენს სიტყვებს ყმაწვილური გულწრფელობის ხასიათი მისცეს; შეუძლია აგრეთვე ბევრი იჭვნეულებას თავი დაანებოს და ჩვენ დაგვეთანახმოს. მე რომ ვინმე რასმე მკითხავდეს, გადმოცემას გადმოცემათ მივიღებ და მოხუცის ნაამბობს ძლიერ შესაძლებელ მოვლინებათ მივიღებ, მით უფრო, რომ მე მისთვის არაფერი მიზეზი არ მიმიცია, ჩემი ახალგაზდობის გულწრფელობით ესარგებლებია, თავის თავად ყურადღების მისაქცევი საქმე სამსახრო საგნათ გაეხადა და უსაფუძვლო ლაყბობისათვის ხელი მიეყო. ჭომის ჭუთაისზე მახლობლად მდებიარება, იმ მოხუცის მოდგმის წინაპართ დღეგრძელობა, როგორც მე მან მითხრა, ის რიდი და მოშიშრობა, რომლებიც მის პირი სახეზე იხატებოდა, როცა ის მე ამ საგანზე მელაპარაკებოდა, წერითი მოწმობის განურკეველი ხასიათი ამ სამკაულის შესახებ. ძველა ესენი რამოდენათმე ხელს გვიწყობს, უწინდელი დროის ფილოსოფიურ იჭვნეულობას თავი დავანებოთ და ძლიერ შესაძლებელ საქმეზე უარი არა ვყოთ.

რაიცა შეეხება ზეპირი გადმოცემის ავტორიტეტობას, საზოგადოთ ამაზე მოვიყვან ჩემი ღარიბი მეცნიერული ცნობებისაგან შემდეგ ფაქტს, რომელიცა, რაღაც ბედია, პირ და პირ ჩვენი ნათქვამის მგვანე მაგალითათ ითვლება. ძველი საზოგადო ეკლესიის წყაროებიდგან ვიცით ნამდვილათ, რომ შეოთხე საუკუნეში ქრისტეს შობის შემდეგ, როცა კოსტანტინე დიდის დედამ—ელენემ მოინდომა იმ ჯვარის მონახვა, რომელზედაც იესო ქრისტე აცვეს, პალესტონაში ამოჩნდა ერთი ურია, რომელმაც ზეპირ გადმოცემის ხელმძღვანელობით შეუმცდარათ უჩვენა ერთ წარმართებისაგან აგებული სამსხვერპლოზე, და იმას ქვეშ მოტანებულ ცხოველ ჯვარზე. ჭეშმარიტებამ მაშინ სძლია სიცრუეს, როცა წმ. ელენემ ეს წარმართების ტაძარი დაამგვრევინა, მიწა ღრმათ ამოათხრევინა და თითქმის ოთხასი წლის ჩამარხული ჯვარი ამოაჩინა.

ოღონდ მონდომა იქმნეს და ამ სობოროს ახლო მახლო ადგილების გასინჯვა და დაჩხრეკა მაინც და მაინც ძვირად არ დაჯდება...

მ. ფ.

სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.

ხუთს დეკემბრის რიცხვს თითქმის ყველა საბლოჩინო მაზრებიდგან გამოცხადდენ ქ. ჭუთაისში როგორც სამღვდელოთაგან აღრჩეულნი პირნი, აგრეთვე სხვა პირნიცა მისალოცავად და სადღესასწაულოდ ოცდა ხუთის წლის იუბილეის დღისა მპისკოპოსობის ხარისხსა შინა მსახურებისა ქოელად სამღვდელო იმერეთის მპისკოპოსის ბაბრიელისა. მაგრამ რადგან წინეთ ნება არ ყოფილა გამოთხოვილი მთავრობისაგან იუბილეის დღესასწაულობა გადაიდვა მომავალი წლის ცხრა მაისისათვის. ძველა გამოცხადებულნი პირნი ქოელად სამღვდელოსთან მივიდნენ მისალოცავად ექვს დეკემბერს, პირველ საათზე და მიართვეს ქაღალდი, რომელშიდაც მათი გრძნობა იყო გამოცხადებული თავის მწყემსთ-მთავრისადმი და რომლითაც სთხოვეს მას დათანხმება

იუბილეის დღესასწაულობაზე და ნების გამოთხოვა უმაღლესი მთავრობისაგან. ყოვლად სამღვდელოს ფრიად სასიამოვნოდ დარჩა ამისთანა თანაგრძნობის გამოცხადება სამღვდელოებისაგან და, სხვათა შორის, მან გრძნობით სავსე მოკლე სიტყვა უთხრა სამღვდელოებას: „ძმანო და მამანო, ძლიერ მოხარული ვარ თქვენი ამისთანა თანაგრძნობის გამოცხადებისა. მე ბევრი ჯილდო მიმიღია, მაგრამ ყველაზე მეტად სასიხარულოა ჩემთვის თქვენი ამისთანა ჩემი სამსახურის დაფასება და თანაგრძნობის გამოცხადებაა. ილოცეთ, ძმანო და მამანო, ჩემთვის და ევედრეთ ღმერთსა, მომცეს შეძლება, რომ ვიმსახურო თქვენდა სასარგებლოდ“. შემდეგ ამისა ყოვლად სამღვდელომ აღუთქვა სამღვდელოებას, რომ ის გამოითხოვს ნებას იუბილეის დღესასწაულობაზე, რადგან ასე გულით მოსურნე არიან ყველანი. იმედია, რომ სამღვდელო წოდების გარდა მრავალი საერო წოდების პირნიც მიიღებენ მონაწილეობას ამ დღესასწაულობაში.

***

როგორც წინეთაც იყო გამოცხადებული ჩვენს გაზეთში, საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი პავლე მობრძანდა პირველ ნოემბერს ქუთაისში. მეორე დღეს სწირა ქუთაისის კათედრის სობოროში და დაათვალიერა ყველა ნივთები სობოროსი. მეორე დღეს წაბრძანდა გელათის მონასტერში. მესამე დღეს შებრძანდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ყველა კლასები დაათვალიერა. ყველა კლასებში ჰკითხავდა შაგირდებს. მესამე დღესვე წაბრძანდა თფილისში. არ მოეწონა მას, რომ თითო კლასში კანონისაგან დადგენილი შაგირდების რიცხვს აღემატებოდა. ამასთან სურვილი გამოაცხადა, რომ მეორე სასწავლებლის გახსნაზე მოეფიქრებიათ სამღვდელოებას. როგორც გვახსოვს, მეორე ოთხ კლასიანი სასწავლებლის გახსნაზე სამღვდელოებამ გარდაწყვეტილება დაადგინა ერთ წინანდელ შეკრებილებაზე და რა უყვეს ამ გარდაწყვეტილებას, ჯერეთ არავინ არ იცის.

***

ჩვენ გვაცნობებენ ათონის მთიდამ, რომ ბ. ნელიდოვმა გამოიკვლია რუსების და ქართველების ბერებთან გადაკიდება ბერძნის ბერებისა და ამ უკანასკნელთაგან შევიწროება განსაკუთრებით ქართველების ბერებისა. იმპერატორს მიუქცევია ყურადღება ჩვენი ბერების გაჭირვებული მდგომარეობისათვის და, როგორც ამბობენ, ერთ დროებითად ფულად 15 ათასი მანეთი შემწეობა დაუნიშნავს ქართველთა მონასტრების შესაკეთებლად და სამი ათასი ყოველ წლობით.

***

ჩვენს რედაქციაში გამოგზავნა ყვირილის ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელმა ბ. თეოფილე ხუსკივაძემ გადასაცემათ ქუთაისის ციხის ტუსაღების ბიბლიოტეკისათვის ოთხი წიგნი: 1) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. 2) სიტყვანი და მოძღვარებანი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსისა. 3) დიდი მოურავი ტრაგედია და 4) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა. ამ წიგნებს დაემატა თექვსმეტი სხვა და სხვა წიგნი, ჩვენის რედაქციიდამ შეწირული, და გარდაეცა ციხის მღვდელს მ. ოქროპირ ჰაჭახიძეს.

***

ჩვენ გვთხოვენ რაჭის მაზრიდამ შემდეგი წერილის დაბეჭდვას: „5 ნოემბერს ღამით გარდაიცვალა გაცივებით სადმელის საბლაღოჩინო მაზრის სამღვდელოების მოძღვარი ხვანჭკარის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი გიორგი სურღულაძე. ეს მღვდელი იყო შესანიშნავი მრთელს საბლაღოჩინოში, როგორც ქართულს ენაზედ სწავლით, ეგრეთვე სინდისიანი და პატიოსანი სამსახურით არც ერთი მისი მრევლთაგანი და არც სამღვდელოთაგანი მისი მომჩივანი არ გვინახავს, წინააღმდეგ ყველას გულითად უყვარდა და პატივს სცემდნენ მას, როგორც სულიერს პატიოსანს მამას. მღვდელი გიორგი სურღულაძე იყო მჭევრმეტყველი, თამამი, მეყსიური და კარგათ მცოდნე და მტკიცედ აღმასრულებელი თავის ვალდებულებისა, იყო ფიცხელი ოჯახის მუშა. ერთგულის სამსახურისათვის დაჯილდოებულ იყო: ნაბედრენიკითა, სკუფიითა და კამილავკით. შობიდამ იყო 70 წლისა, მაგრამ ძლიერ მხნე და შესანიშნავი ახოვანი აგებულებისა და ტან მრთელი. სასმელ საჭმელის მიღება იცოდა ძლიერ ზომიერი. სახლობაში დარჩა ქვრივი მეუღლე და სამი ძენი სრულ წლოვანი. ამ კაცის მიცვალებისათვის მწუხარე არიან არა თუ მისი საყვარელი სულიერი შვილები, არამედ ისინიც, ვინც კი იცნობდა მას. საუკუნო ნეტარება დაიმკვიდრე ღირს სახსოვარო და დაუვიწყარო მამაო გიორგი, კეთილ-მწყემსო! შენ დაგვიტევე შენი სამაგალითო ქვეყნიური ცხოვრება შენს სულიერ შვილებს სარკედ, რომელშიაც ხშირად ჩავიხედავთ და მივბაძავთ შენს ცხოვრებას“.

***

განსვენებულ იმპერატორს ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს 20 წარსულ ნოემბერს დაუდგეს ძეგლი

პეტერბურღის სასამართლო დაწესებულებათა სახლში. ძეგლი აგებულა პეტერბურღის სუდებნი პალატის და ოლქის სასამართლოის უწყების მოსამსახურეთა პირთაგან, ნაფიც ვექილებთა და ნატარიუსთაგან. მრთელი ტანი და სახე იმპერატორისა გაკეთებულია თეთრი მარმარილოსაგან, რომელიც სერთუკშია პოლონებით. მარჯვენა ხელში აქვს დაჭერილი წიგნი სასამართლოს წესდებანი 20 ნოემბრისა 1864 წლისა. ძეგლი არის დადგმული მარმარილოსაგანვე გაკეთებულ დასადგმელზე, რომელსაც ზევით აწერია: ,,ჰყავით სამართალი მსწრაფლი, მართალი, მოწყალებითი და თანასწორი ყოველთათვის''.

როგორ ასრულებენ ამ სიტყვებს ეხლანდელ დროში ზოგიერთი მოსამართლენი, ყველამ კარგად ვიცით...

***

შრომიდამ (შორაპნის მაზრაშია) მრევლის მღვდელი გვაცნობებს, რომ ყვავილია მოდებული სოფელში და ამცრელები არა სჩანანო. იმედია მიაქცევენ ამას ყურადღებას ვისიც რიგია.

ჟურნალ-გაზეთებთა მიმოხილვა.

,,დროებაში'' ვკითხულობთ შემდეგ ამბავს ქართულ გალობის შესახებ: ,,როცა პირველად გავრცელდა ხმა, რომ ბ. ქორიძეს სრული ქართული წირვის წესი და რაოდენიმე იმერული და გურული სიმღერები ნოტებზედ გადაუტანიაო, ჩვენ, მართალი უნდა ვსთქვათ, არა გვჯეროდა: ვფიქრობდით, რომ ჩვენებური ეკკლესიური გალობა და აგრეთვე სიმღერებიც ევროპიულ ხასიათს მიიღებდენ, დაჰკარგავდენ იმ განსაკუთრებულს კილოხა, რომლითაც განირჩევიან ევროპიულ გალობა-სიმღერისაგან; აბა ვინ დაიჯერებდა, რომ გურული კრიმანჭული, ,,ხასან-ბეგურის'' წვრილი, წირვის წესის თავისებური ხმის ტრიალი, ზოგან უხმო ასოებზე ხმის ამაღლება და შეჩერება გადავიდოდენ ნოტებზე უცვლელად და ისე, როგორათაც შეუქმნია ხალხის შემოქმედობას.—აგრეთი ჩვენი ურწმუნოება, ჩვენდა სასიხარულოდ, უსაფუძვლო აღმოჩნდა: გუშინ სადამოს, ოთხშაბათს, ვნახეთ ბ. ფ. ქორიძის ხორო, რომელიც ოთხის მგალობლისაგან შესდგება. არც ერთმა იმათგანმა უწინ ჩვენებური გალობა არ იცოდა. ბ. ქორიძეს დაუწყებინებია შესწავლა მისგან შედგენილ ნოტებზე. — სრული წირვის წესი მოვისმინეთ, რომელიც თითქმის მთელი საათი გაგძელდა. თუმცა ჩვენ თითონ მგალობელნი არა ვართ მაგრამ ხშირათ გაგვიგონია იმერეთში გამოჩენილთა პირთა გალობა, მაგალითებრ, თ. დათა გუგუნავასი, ბ. ნიკო მემარიაშვილისა, ბ. კანდელაკისა და მრავალთა სხვათა. ყოველი კილო, ყოველი ერთის ხმიდამ მეორეზე გადასვლა, ყოველი ხმის ამაღლება ისეთის სინამდვილით და სიმტკიცით არის აღდგენილი, რომ ევროპიულის მუსიკის გავლენა ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთ; ასე რომ შთაბეჭდილებას არ არღვევს არავითარი უცხო ელემენტი და არ ეჩოთირება კაცს ყურში: იგივე ნამდვილი, დარბაისლური გრძნობა, მძლავრი, ხასიების აღმძვრელი ძველებური ქართული გალობა, რომლის მაღალი და მძლავრი კილო თითქო ჩვენის ძველებურის მაღალგუმბათიანი ეკკლესიებისთვის არის შეხამებულიო და რომელიც სულითა და გულით ზეცის აღიტაცებს მავედრებელს.

ამ სადამოს დაესწრნენ მმ. არხიმანდრიტნი გრიგოლი, მაკარი და მგალობელი იმერეთის ეპისკოპოსისა ბ. ქელბაქიანი, რომელთაც აღიარეს, რომ ბ. ქორიძისაგან შედგენილ ნოტებში ყოვლის მხრით დაცულია ქართულის გალობის სინამდვილე და სიბეჯითეო. დიდი მადლობა ეკუთვნის ამ საუკუნო ძეგლის და მდგმელს, ბ. ფ. ქორიძეს და იმის მეუღლეს, რომელმაც თავის მონაწილეობით და მშვენიერის მუსიკის ცოდნით თითქმის გაუნახევრა მას ჯაფა''.

—

იმავე გაზეთში ვკითხულობთ: ,,ჩვენა ვნახეთ მშვენიერი სურათი ფერადებით დახატული, შედგენილი ბ. საბინინისაგან. ამ სურათსა ჰქვიან ,,საქართველოს ეკკლესიის დიდება'' და ნება დართულია პეტერბურგის სასულიერო ცენზურისაგან, ასე რომ, იმედია, მალე ამ სურათის რამდენიმე ათასი ეგზემპლიარი მთელს საქართველოს მოეფინება. შუაში დახატულია მცხეთაში სიდონიას საფლავი, რომელშიაც სიდონიას ხელთ უპყრია წმიდა კვართი ქრისტესი; ზემოდამ საფლავს ღვთისმშობელი ადგას ცხოველს სვეტს, რომელსაც მირონი გადმოსდის. სულ ზემოთ დახატულია დიდებით იესო ქრისტე. უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ცხოველს სვეტს აქეთ-იქით მოსდგომიან საქართველოს ყველა წმიდანები, მათ შორის ბევრი ისტორიული პირიც, მაგ. ვახტანგ-გორგასლან, თამარ მეფე, წმ. ნინო, ქეთევან დედოფალი, დავით აღმაშენებელი და სხვ. ყოველი სახე ცხოვლად არის გამოხატული და ეს კრება თითქო ისტორიული კალეიდოსკოპია, რომელიც ერთის შეხედვით მთელს ჩვენს ისტორიას მოგვაგონებს.

როგორც შევიტყვეთ, ეს სურათი მალე დაიბეჭდება პეტერბურგში და მასუკან ძალიან იაფ-ფასად, თითო მანათ ნახევრად, ან ორ მანეთად გაისყიდება. ბ. საბინინი ამ სურათის გამოცემის ნებას აძლევს «წერა-კითხვის საზოგადოებას»''.

III განყოფილება.

სიტყვა

თქმული საქართველოს ექსარხოსის არსენეპისკოპოსის ჰაგლეს მიერ თფილისის სიონის სობოროში ახალი სამწყსოსადმი. 2 ოკტომბერს 1882 წელსა.

ჩემი ახალი სამწყსო, რასაკვირველია, როგორც ახლის თვისის მწყემსთ-მთავრისაგან, მოელის სიტყვას. და ამ შემთხვევაში მისი მოლოდინი და მოთხოვნილება კანონიერია. ცხოვრების გამოცდილება და ქრისტეს იგავი მწყემსზე (იოან. ი, ა—ივ) ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, თუ რამდენათ ძნელია უენო ცხოვართა კეთილ მწყემსად ყოფნა, თუ არ გააგონებ მათ შენს ხმას, არ უწოდებ მათ თავიანთ სახელს და თუ არ მიაჩვევ მათ შენის ხმის მორჩილებასა. უმეტესად საჭიროა ხალხთა მწყემსისაგან, რომ მან თავისი სიტყვით იმოქმედოს თავის სამწყსოზედ... ამიტომ მე, განსაკუთრებით პირველს თქვენთან შეხვედრაზე, უნდა გითხრათ რამე. მაგრამ რა გითხრა შენ, ჩემო ღვთისგან მონიჭებულო ახალო სამწყსო?

კადნიერებით გეტყვი შენ, რომ მე მოვედი კარით ეზოსა შინა ცხოვართა ამა ქვეყნისა და არა სხვით კერძო (სტრიქ. ა); შემოვედი, როგორც ჭეშმარიტი მწყემსი, მოწოდებული უფლისაგან დამწყსვად აქაური ქრისტეს სამწყსოსა. არ ვეძიებდი მე საქართველოს სამწყსოს, რადგან კანონი ჩემი ცხოვრებისა არის, არა ვეძიო რა, არამედ ჩემი მომავალი ბედი და მოქმედება მივანდო ყოვლად სახიერი უფლის განგებულებას... არ მიძებნია და არც მსურდა სხვა რომელიმე ახალი სამწყსო, მიტომ რომ მე მხურვალედ მიყვარდა ჩემი დაუვიწყარი ბესარაბიის სამწყსო და მისგანაც ნაცვლად ჭეშმარიტად ვიყავი შეყვარებული... მხოლოდ დავემორჩილე ეკლესიის თავის — ქრისტეს ნებას, რომელიც გამომიცხადა მე ღვთისგან მირონცხებულმა — ქვეყნის მეფემ, — დავსტოვე მე ბესარაბიის სამწყსო და მოვედი ამ ღვთის მშობლის ხვედრს ალაგას—საქართველოს ეკლესიის სამფლობელოსა შინა.

სულით და გულით მსურს, რომ მე შევიქმნე კეთილი მწყემსთ-მთავარი ახალის სამწყსოსი. ვსთხოვ ღვთაებრივს მწყემსთ მთავარს — ქრისტეს, რომ არ შემრაცხოს მოჯამაგირედ, რომელიც ჯოგის რძით იკვებება და მისი თმით იმოსება და კეთილ საძოვარზე ცხოვარნი თვისნი არ დაყავს და იხილოს რა მომავალი მგელი და რამე უბედურება თავისა თვისისა და ცხოვართა თვისთა, სტოვებს მათ და გარბის... არა, მე ვევედრები უფალსა, რომ მან მყოს მე კეთილ მწყემსად თვისთა ცხოვართა, რომ მეზრუნოს მის სიკეთისთვის და მზად ვიყო, დავსდვა ჩემი სიცოცხლე ცხოვართა თვის (სტრიქ. ია—იგ).

სულით და გულით მსურს მე, რომ თქვენ, რაც შეიძლება მალე, შეეჩვიოთ ჩემს მწყემსმთავრულ ხმას, ისმენდეთ მას, ჩემს ხმაზე იაროთ და იმოქმედოთ და არ გაუგონოთ ქურდთა და ავაზაკთა. ეს მე მით უმეტესად მსურს, რომ მე ვეცდები ჩემი ხმა მივამზგავსო ღვთაებრივი მწყემსთ მთავრის ხმას, — მორჩილს და მიმფერებელს სულიერთა კეთილთა ცხოვართა, ხმას, მოწყალეს და შემბრალეს უძლურთა ცხოვართა და ავათ მყოფთა, ხმას, მრისხანეს არა მორჩილთა ცხოვართა და, განსაკუთრებით, მგელთათვის,—მტერთა ქრისტეს სამწყსოისა.

გულითა მსურს, რომ ახლავე გიცნობდეთ ყველასა, როგორც შეშვენის კეთილ მწყემს, ყოველივე თქვენი საჭიროებითა და თვისებეებითა და გიწოდდეთ თქვენ თავიანთი სახელით, მაგრამ ღვთაებრივი მწყემსი — ქრისტე არის სრული, მან, გულთა-მხილავმა, სრულებით იცის თავის სამწყსო და უწოდებს მათ თავისის სახელითა. ხოლო მე ეხლა ძალიან მცირე თქვენთაგანს ვიცნობ სახელობით. რასაკვირველია, არასოდეს არ შემიძლია შევიტყო სახელი ჩემის მრავალ მილიონ. სამწყსოისა, რომელიც მე, ულირს და უძლურს, ჩამბარა სამართავად უფალმან. მე ბედნიერი ვიქმნები, თუმც ჩემი ხელქვეითი მწყემსნი, რომელნიც მწყსიან პატარა სამწყსოებს, იქმნებიან კეთილი მწყემსნი, ეცოდინებათ თავისი ცხოვარნი და, როგორც თვითონ თავის თავად, აგრეთვე ჩემთა თანამოძმეთა —ეპისკოპოსების საშუალებით, ნამდვილად შეატყობინებენ მე ჩემთა ცხოვართა საჭიროებას და შემეწევიან მე, რომ, შეძლებისა დაგვარად, ვემსახურო სასიკეთოდ ქრისტეს სამწყსოს.

გულით მსურს მე, რომ წაგიძღვეთ თქვენ და მსახურება ჩემი იყოს თქვენთვის მაგალითად სარწმუნოებისა და კეთილ-მსახურებითი ცხოვ-

რებისა. და შემეწიოს მე ამაში უფალი!.. მე რომ კიდეც, ჩემი უძლურებისა გამო, ცხოვრებაში ზნეობითად ჩამოგრჩეთ უკან, ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ჩემმა უძლურებამ დაგაბრკოლოს თქვენ მისწრაფებად უმაღლეს სისრულემდე. მაშინ მე ნუ კი შემხედავთ, მე ნუ კი გამომყვებით უკან, არამედ მიხედეთ სარწმუნოებისა ჩვენისა წინამძღვარსა და სრულებისა მომქმედსა იესოს (ებრ. იბ. ბ), რომელიც არის სამეპის გზა ყოველთა ჩვენთათვის და პირველი სახე ჩვენი.

გულით ვისურვებ და ვეცდები მიგიყვანოთ თქვენ კეთილსა და სულიერსა საძოვარსა, აღვსილსა სულიერთა საჭმელთა და სასუმელთა თქვენთათვის. რა საძოვარია ეს? ეს არის, პირველად, ეკკლესია ქრისტესი ქვეყნად, რომელიც სავსეა გამოულეველი სავსებითა და სიმდიდრითა; დაცულთა მასში ღვთის მადლითა. ამ სასულიერო საძოვარზე მსვლელობის დროს, მე წარგიძღვებით თქვენ საძოვარსა ზედა, სავსესა ყოვლითა სულიერითა კეთილითა. აქ თქვენ ნახავთ სავსებით თესლსა სიტყვისა ღვთისასა (ლუკ. ჱ, ია), — უმშვენიერეს სულიერს საზრდოს თქვენი გულისათვის და გონებისათვის, აქ თქვენ ნახავთ ცხოველსა წყალსა სიტყვისა ღვთისასა, სასმელს შეწუხებულთა ჭეშმარიტებისათვის და სულის გამაგრილებელის შეწუხებულთა ცუდი გულის თქმათა და უბედურებით და შრომით დასუსტებულთა... აქ თქვენ ნახავთ უმაღლეს სიტყვისა ღვთისა ცხოველ-მყოფელთ საზრდოსა — ხორცსა ქრისტესა და უსრულეს სასუმელსა — ცხოველ-მყოფელსა სისხლსა ქრისტესა. რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, რქვა უფალმა, აქვნედეს ცხოვრება საუკუნო და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა (იოან. ვ, ნდ). აქ ღვთის ეკკლესიაში, გვესმის ჩვენ, ღვთის სჯულში, ღვთის ნება, რომლის აღსრულებასაც უფალი იესო ქრისტე სთვლიდა თავის საზრდოთ. ჩემი ჭამადი, სთქვა მან, არს, რათა ვყო ნება მომავლინებელისა ჩემისა და აღვასრულო საქმე მისი (იოან. დ, ლდ). აქ ქრისტეს ეკკლესიაში, არის მადლიანი ჰაერი, რომელიც ნამდვილი ნიშია ცხოვართა სულიერი სიმრთელისა. ვითარი კეთილი სულიერი საძოვარია—ქრისტეს ქვეყნიური ეკკლესია... და საძოვარი ესე მით უმეტესად უძვირფასესია, რომ მისი საშუალებით ჭეშმარიტნი მორწმუნენი შევლენ მეორეს, კიდევ უკეთესს საძოვარში—ზეციურ ღვთის სასუფეველსა, ზეციური მამის სამფლობელოსა შინა, სადაც მორწმუნენი ჰპოებენ სრულ დაკმაყოფილებასა ყველა თავის მოთხოვნილებათა და სრულს ხალხისათვის მისაწდომელ ნეტარებას.

რა გზით უნდა წავიდეთ ჩვენ ამ სულიერი საძოვრისადმი? გზა იმათკენ არის ერთი—ქრისტე. მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება. არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ (იოან. იდ — ვ), სთქვა უფალმა თავის თავზე. ჩვენ წავიდეთ სულიერ საძოვრისადმი იმ გზით, რომელიც გვიჩვენა ჩვენ სიტყვით და მაგალითით ღვთაებრივმა მწყემსთ მთავარმა—ქრისტემ.

ეს გზა არის გზა სინანულისა და განახლებისა. შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა (მათ. დ, იზ); ასე დაიწყო თავის მაცხოვარებითი ქადაგება უფალმა. გზა მონანებისა და განახლებისა არის გზა არა სასიამოვნო და მძიმე თავის მოიმედე და თავის მოყვარე ჩვენის ცოდვილის ბუნებისათვის, რომელსაც არა სურს განახლება, მაგრამ ეს გზა უსაჭიროესია მათთვის, რომელნი ეძიებენ სულიერსა საძოვარსა. ვინც არ მოინანიებს, არ განახლდება, არა აქვს უფლება შევიდეს სასულიერო საძოვარსა შინა— ქრისტეს ეკკლესიაში: მასში არაფერი უწმინდური არ უნდა შევიდეს. და კიდეც რომ შევიდეს, ვერ ნახავს სულიერი საზრდოის და სასმელის სიტკბოებასა, რომლითაც სავსეა სულიერი საძოვარი. როგორც ღორთა დასთრგუნონ მარგარიტები ფერხითა თვისითა (მათ. ზ, ვ),— აგრეთვე განუახლებელი კაცი ვერ დააფასებს სულიერთა საუნჯეთა, რომელიც დაცულია ეკკლესიასა შინა და რომელიც მიენიჭებათ მორწმუნეთა, მაგრამ განუახლებელი კაცი უკუაგდებს მათ. ცოდვილი კაცი არ მიიღებს მას, რაც სულისაგან ღვთისა არს, ამისათვის, რომ იგი ამას რაცხს უგნურებად და არ შეუძლია გაგება, რადგან ამისთანა საგნებზე სულიერად უნდა სჯიდნენ (ა—კორ. ბ, იდ).

სულიერი საძოვრის გზა არის მძიმე და ძნელი ჩვენი ცოდვილი ბუნებისათვის, ძნელია ასვლა იმ ზნეობითი სისრულემდის, რომელიც ნაჩვენებია ქრისტეს მცნებათა შინა — ნეტარებაში. ეს არის გზა სულიერი სიგლახაკისა, სიმშვიდისა, რომელიც მშვიდთა ღირს ჰყოფს შესვლად ზეციურს სასუფეველში; ეს გზა—არის გზა სულიერი შემუსრვილებისა ცოდვათათვის, რომელიც

დაჯილდოვდება ზეციური ნუგეშის ცემითა. გზა სიმდაბლისა, რომელთა კაცი დაიმკვიდრებს ქვეყანასა; გზა შიმშილისა და წყურვილისა სიმართლისათვის, რომლისთვის უფლისაგან იგინი განსძღენ. ეს მოწყალების გზაა, რომლითაც კაცი სამუდამოდ იქმნება შეწყნარებული ყოვლად მოწყალესაგან. გზა გულის სიწმინდისა, რომელსაც აღთქმული აქვს ღვთის პირის-პირ ხედვა; გზა მშვიდობის ყოფნისა, რომელიც აძლევს მშვიდობის მყოფელთა ნებას, რათა იწოდებოდნენ ძედ ღვთისად; გზა კეთილ მოთმენისა დევნილთა და შეურაცხყოფილთა ქრისტესა და მისი სიმართლისათვის. გზა მიმყვანი დიდთა სასყიდელთადმი ცათა შინა (მათ. ე, გ—იბ), გზა მძიმე და მასთანა სასურველი, რადგან იგი არის გზა მაცხოვნებელი.

გზა სულიერი საძოვრისა არის გზა თავის მოძულებისა, მოთმინებისა და შედგომისა ქრისტესადმი. რომელმან არ აღიღოს ჯვარი თვისი და არა შემომიდგეს მე, ვერ ხელეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა (ლუკ. იდ, კზ), სთქვა უფალმა. შეუწირველად თავისა თვისისა და ჯვარის აუღებლად მაგალითისა-მებრ ქრისტესა, არავის არ შეუძლია შესვლა სასუფეველსა ღვთისასა. განდგომილთათვის ჯვარის ზიდვისა და წაწყმედულთათვის სწავლა ქრისტესი, როგორც ჯვარებრივი სიტყვა არის სიცოფე (კორ. ა, იჱ). ჯვარცმული ქრისტე მათთვის, როგორც ურიათა, არის საცთური და წარმართათვის სისულელე (სტრიქ. კგ). განა ისინი არ უარ-ჰყოფენ სულიერს საზრდოს და სულიერს სასმელსა — სიტყვასა ღვთისასა, ჯვარცმის სიტყვასა? განა მათ მისცემენ ნებას მათი გულის თქმანი აღასრულონ სჯული ქრისტესი — სჯული სიყვარულობისა, სიწმინდისა და უმანკოებისა? მხოლოდ ჩინებულია ურიათა და წარმათთათვის ქრისტე ღვთის ძალა არს და ღვთის სიბრძნე (სტრიქ. კდ). მხოლოდ ისინი მიემურებიან ქრისტეს საძოვრისადმი.

გზა სულიერისა საძოვრისადმი არს გზა სულიერი და ზნეობითი ფერისცვალებისა,— მთელის თავის ღონის და ძალის შეწირვისა ჯვრის აღებისათვის. თვითეული მოსურნე ცხონებისა თანამდებ არს აღვიდეს თავის თაბორსა ზედა, რომელიც ეგრე ცხადი და დიდებული არ იქნება, როგორც თაბორი ქრისტესი, მაგრამ რომელიც მდგომარეობს კაცის სულიერს გამოცვლაში. თვინიერ ამა ფერის-ცვალებისა არა შესაძლებელ არს შესვლა ქვეყნიური ეკლესიის საძოვრიდამ ზეციურსა სასუფეველსა შინა (ლუკ. თ, კჱ—ლვ).

გზა სულიერი საძოვრისადმი არს გზა თავის მოკვდინებისა ცოდვათა თვის და აღდგომისა სულიერი კეთილი ცხოვრებისათვის. ისინი, რომელნიც ქრისტესნი არიან, უნდა ჯვარს აცვან ხორცნი თვისნი ვნებითურთ და გულისხმითურთ (გალატ. ე, კდ). ყველამ უნდა გაიაროს თავის გეთსამანია, ქვაფენილი და გოლგოთა (მათ. კვ, ლვ—მვ; კვ, მვ—ნ). მხოლოდ სულიერი გოლგოთის შემდეგ და ცოდვათათვის თავის მოკვდინებისა იქნება აღდგომა მართალი ცხოვრებისათვის და შემდეგ აღდგომა და ამაღლება ზეციური ნეტარებისათვის.

აი ასეთია, ძმანო და დანო, გზა სულიერი საძოვრისადმი. გზა ძნელი, მძიმე, მაგრამ აუცილებელი, რადგან ის ერთად ერთი გზა არის, მიმყვანებელი სულიერი საძოვრისადმი. სხვა ცხოვრების გზებს, რომელნიც ქრისტესაგან არ არიან ნაჩვენებნი, მიჰყავთ კაცი ცუდს და დამღუპველს ალაგას და თუ ამა გზებით ვივლით, შევიქნებით წაწყმედილი ცხოვრად, დავიღუპებით სულიერი შიმშილითა, ანუ ჩავუვარდებით პირში სულიერს მგელსა, ეშმაკსა, რომელიც, როგორც მყვირალი ლომი, დადის და ეძებს, ვინ შთანთქას (ა, პეტ. ე, ჱ). გზა ცხონებისადმი ძნელია, მაგრამ არც ასე ძნელია მითი სიარული. ამ გზით მიჰყვნენ ქრისტეს წმიდანი მოციქულნი, კრებული წმიდათა და მოწამეთა, მორჩილი და ბრძენი მეფენი და დედოფალნი, კეთილ-მსახურნი თავადნი, სხვა და სხვა მოსამსახურეთა და საზოგადოებათა პირნი სხვა და სხვა ჰასაკისა და სქესისა. არ მიგვიყვანს განა ჩვენც ამ გზით ზეციურს სასუფეველში უფალი ღმერთი, თუმც ჩვენ წინა არ აღუდგებით ამ მსვლელობას, არამედ კეთილ მორჩილებით შეუდგებით მას? წავიდეთ ყველანი ერთად და გაბედვით საცხოვნებლად იმ გზით, რომელიც გვიჩვენა ჩვენ ქრისტე მაცხოვარმა!

ჩვენ ეკლესიის მწყემსნი, თანამდებ ვართ ვიდგეთ თავში ამ მაცხოვარებითი გზაზე მსვლელობის დროს, — თანამდებ ვართ სიტყვით და ჩვენის ცხოვრების მაგალითით ვხელმძღვანელობდეთ სამწყსოთა ჩვენთა ცხოვნებისადმი.

ანგარიში
ჯიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის 1882 წლისა:

1883 წლის იანვრის თვის პირველ რიცხვამდის გასესხებული იყო 168 წევრზედ.

	მანეთი	კაპეიკი.
Თამასუქებით	9139	,,
Ⴉასაში ფული იყო	73	41
და სრულიად .	9212	41

Ამ ანგარიშში გამორიცხული არის შარშარდელი და წრევანდელი მიბარებული ფულები .	1692	,,
Დარჩა ამხანაგობას საკუთარი ფული .	7520	41
Ⴜილის ფული შემოსული	615	50
Ⴎროცენტი (%) ჯარიმიანად შემოსული.	1085	40
Ⴋასული არის წილის ფული . .	549	,,
Ⴋასულია წილის ფულის მოგება . .	573	69
Დარჩა წილის ფულის მოგება მისაცემი.	47	85
Ⴋასულია	1425	79
37 წევრთა აქვთ სრული წილის ფული.	1850	,,
11 წევრთა აქვთ ამხანაგობის ფული თამასუქებით ნასესხები	763	,,

	ამხანაგები:
Ⴂამორიცხული არის სიკვდილის გამო. . . .	8
— — ნასესხის შემოუტანლობ.	11
— — წილის ფულის შემოუტ.	6
— — თავის ნებით	4
Დარჩნენ ამხანაგებათ.	241

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1) Ⴂამსესხებელ შემნახველი ამხანაგობა არსებობს სოფელს Ⴟიხაიშში აგერ ათიოდე წელი განმავალობს. Ⴂამგეობა აღნიშნული ამხანაგობისა ყოველ-წლობით უგზავნის პეტერბურგში სასოფლო ბანკების ზედამხედველის კომიტეტის განყოფილებას Ⴟიხაიშის ამხანაგობის საქმეთ-წარმობის ანგარიშსა. Ⴉომიტეტი ანგარიშების (отчеты) განხილვის შემდეგ უკანვე უბრუნებს ამხანაგობის გამგეობას ანგარიშების პირებს. Რასაკვირველია, კომიტეტი მადლობას უცხადებს ამხანაგობის გამგეობას და თავის მხრით უჩვენებს თუ რაში და რაში ეჭირვება მას დაკვირვება და გასწორება.

2) 1882 წელში სათადარიგო თანხაში (Запасной капиталъ) იყო 614 მანეთი და 14 კაპ.

3) Ⴜმინდა მოგებიდამ—749 მანეთი და 49 კაპ. ამხანაგობის წევრებს მიეცა დივიდენდათ მანეთზედ 10 კაპეიკი წილის ფულის დაგვარათ.

4) სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა ზედამხედველის კომიტეტის განყოფილებას პეტერბურგში გაეგზავნა 25 მანეთი ზემო-აღნიშნულ მოგებიდამ უფალ **ᲮᲘᲢᲠᲝᲕᲝᲡ** სახელზედ—ამ ადრესით— *Въ С.-Петербургское Отдѣленіе о сельскихъ Ссудо-Сберегательныхъ Товариществахъ. Его Превосходительству Василію Николаевичу Хитрово.*

Ⴂამგეობის წევრი და მმართველი Ⴟიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის

მღვდელი Ⴊუკა Ⴙომახიძე.

ПРАВОСЛАВНОЕ ПАЛЕСТИНСКОЕ ОБЩЕСТВО,

озабочиваясь удешевить пути въ Іерусалимъ, нашло возможнымъ брать за проѣздъ въ 3-мъ классѣ **до Яффы и обратно:** отъ Москвы 46 р. 50 к., отъ Кіева 33 р., отъ Воронежа черезъ Таганрогъ 38 р.

Паломническія книжки для проѣзда продаются съ 1 ноября 1883 года: въ Петербургѣ: у протоіерея Михайловскаго, на Выборгской сторонѣ, въ д. Спасобочаринской Церкви, у В. Н. Хитрово, Мойка, 93, у С. Д. Лермонтова, Манежный пер., 7; въ Тройце-Сергіевой Лаврѣ, у о. Агапита, въ Новой гостинницѣ; въ Москвѣ—у священника Стрѣтенскаго. Б. Никитская. д. церкви Вознесенія; въ Кіевѣ—у іеромонаха Александра, въ Лаврской гостинницѣ. и у протоіерея Экземплярскаго. въ коллегіи Галагана, Фундуклеевская улица; въ Воронежѣ—у іеромонаха Платона, въ Митрофаніевомъ монастырѣ; въ Перми—у Д. Д. Смышляева; въ Казани—у Н. В. Саврасова, Черноозерская улица д. Куракиныхъ.

Паломническія книжки дѣйствительны на цѣлый годъ со дня ихъ выдачи; купившіе оныя могутъ останавливаться въ Курскѣ, Кіевѣ, Одессѣ, Ростовѣ-на-Дону, Таганрогѣ и Константинополѣ.

Для желающихъ получить билетъ 3-го класса только на переѣздъ моремъ «Русское Общество Пароходства и Торговли» выдаетъ билеты, по предъявленіи заграничнаго паспорта **до Яффы и обратно** отъ Одессы или Севастополя за 24 р., отъ Таганрога за 29 р. и отъ Батума за 28 р.

Въ Одессѣ за свѣдѣніями и объясненіями можно обращаться къ протоіерею Кудрявцеву, въ Университетъ и къ М. И. Осипову, Воронцовскій пер., д. Бодаревскаго.

Дозв. цензурою Кутаисъ, 13 Декабря 1883 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძის და ფერაძის.